ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 35

"27" იანვარი 2023 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს შპს „სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. №6 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.005); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. №25 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.002); 3. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №35/52 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.014) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. №6 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.005, ფართობი 588 კვ.მ.); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. №25 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ.); 3. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №35/52-არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.014; ფართობი 2814 კვ.მ.) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 25 იანვრის №23.88.103 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „სანამის" (ს/ნ. 402191150) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2022 წლის 7 სექტემბრის განკარგულება №22.1378.1505) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2022 წლის 9 სექტემბრის განკარგულება №469) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე - 1. ქ. თბილისი, სოხუმის ქ. №6 არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.005, ფართობი 588 კვ.მ.); 2. ქ. თბილისი, ევდოშვილის ქ. №25- არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.002, ფართობი - 843 კვ.მ.); 3. ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი/ვახუშტი ბაგრატიონის ქ. №35/52-არსებულ მიწის ნაკვეთთან (ს/კ. №01.13.06.015.014; ფართობი 2814

კვ.მ.) მიმართებაში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენებაზე - კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმება, გადამეტებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (1. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.005) – (კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 2. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.002) – (კ-2) 4.7-დან 6.0-მდე; 3. მიწის ნაკვეთზე (ს/კ. №01.13.06.015.014) – (კ-2) 8.8-დან 9.5-მდე) ფარგლებში განხორციელდეს „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე